ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 06 ივლისის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კობა კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 06 ივლისის მორიგი სხდომის

ოქმი N 10

2026 წლის 06 ივლისი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, კობა კვირიკაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, ოთარი ლურსმანაშვილი,მარინე ხვედელიძე, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, გივი თხელიძე, როინ გელაშვილი, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე , მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, იზოლდა ვეფხვაძე, ვლადიმერ ტალახაძე, გელა მაღრაძე, გრიგოლ ჭიპაშვილი, გურამ კურტანიძე, ბესიკი ტალახაძე, ბესარიონ გრიგალაშვილი, სპარტაკ ლაცაბიძე, მიხეილ ჭიპაშვილი, გივო მაისურაძე სულ 33 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ნანა კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატი

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ლაურა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორი,

ნინო კაპანაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ ჟურნალისტი,

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კობა კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 33 წევრი.

მომხრე 33

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

შმაგი ხიჯაკაძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიამ სხდომაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რო იმერეთის რეგიონში სოციალური პროგრამებით ბევრ მუნიციპალიტეტს ვუსწრებთ, არ რჩება მუნიციპალიტეტში მოქალაქე, რომლსაც არ ეძლევა საჭირო დახმარება, სამსახური პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა მოთხოვნას, რეაგირებს კანონის ფარგლებში, რა თქმა უნდა კომისია აყენებს წინადადებას სამსახურის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში შეფასდეს დადებითად ,

გივი მაისურაძე საკრებულოს წევრმა პარტიიდან „გახარია საქართველოსთვის“ დააყენა წინადადება თუ შესაძლებელია ასაკობრივი ზღვარის მოხსნა გულისხმობდა 18 წლამდე ასაკის გათანაბრებას სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან ,

ვარლამ ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ, **დავით კიკნაძემ** საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და **ნანა კიკნაძემ** მომხსენებელმა, შეკითხვის ავტორს

განუმარტეს, რომ 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარებისათვის არსებობს პროგრამები, რომლითაც ვერ ისარგებლებს 18 წელს ზევით ასაკის ბენეფიციარი, თუმცა 18 წელი არ უზღუდავს, მას მიიღოს მისთვის საჭირო სხვა პაკეტიდან სოციალური დახმარება,

მიხეილ ჭიპაშვილმა საკრებულოს წევრმა პარტიიდან „ძლიერი საქართველო - ლელო“ დასვა შეკითხვა, სოციალური დახმარების გაცემის შემთხვევაში ცალკეულ პროგრამებზე ითხოვთ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობას, ყველა პროგრამას ეს მოთხოვნა არ აქვს, რა განაპირობებს ამას და კიდევ, სოციალურად დაუცველია და ინვალიდია მოქალაქე, ესაჭიროება სამედიცინო მასაჟი მერიამ მას გამოუყო 300 ლარი, მაში, როცა დადგენილია 500 ლარამდე და კიდევ მაინტერესებს თანხის გამანაწილებელ კომისიაზე დასწრება, რომელიც მერიაშია შექმნილი თუ შეიძლება.

ვარლამ ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ მერიაში შექმნილ კომისიას მე ვხელმძღვანელობ, აქ სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები და იურისტია გაერთიანებული, კომისია გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიალურად და არა ერთპიროვნულად, კანონით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, რაც შეეხება მერის წარმომადგენლის შუამდგომლობას, ვინაიდან მერის წარმომადგენლებმა უკეთ იციან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა პრობლემები კონკრეტულ შემთხვევებში, რომელიც საკრებულოს დადგენილებით არის განსაზღვრული, ვითხოვთ მათ შუამდგომლობებს და ვითვალისწინებთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ჩვენ არავის არ ვუშლით კომისიის სხდომაზე დასწრებას

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შმაგი ხიჯაკაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 33 წევრი.

მომხრე 33

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის კობა კვირიკაშვილის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ(თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დავით კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მან აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარე ახალგაზრდა კაცია, კომპეტენტური თავის პროფესიაში, გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, გავეცანი ანგარიშს და წინადადებას ვაყენებ კომისიის საქმიანობა შეფასდეს დადებითად

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დავით კიკნაძის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 33 წევრი.

მომხრე 33

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**